# ხელშეკრულება №2

ქ. გურჯაანი 6.02. 2013წ

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, "სახელწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით.

## 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. ერთის მხრივ ა.ა.ი.პ "გურჯაანის მუნიციპალური კ/ცენტრი", შემდგომში "შემსყიდველი", მეორეს მხრივ, ი/მ ბადრი ბერიკაშვილი, შემდგომში მიმწოდებელი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი:

**1.2** სასურსათო საქონლით მომსახურება**(cpv 92300000, 39800000)**

## **3.**მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1. "მომწოდებელი" ვალდებულია შეთანხმებულ ვადებისა და პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს ხელშეკრულების საგანში მითითებული საქონლის მიწოდება;

3.2. "შემსყიდველი" ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 4. სახელშეკრულებო ფასი და ანგარიშსწორების ფორმა:

4.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1000(ათას) ლარს..

4.2. ანგარიშსწორება "მომწოდებლებთან" განხორციელდება ლარებში. ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საბანკო ანგარიშზე უნაღდო (ნაღდი) ანგარიშსწორების ფორმით.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 6.02..2013-დან 31.12.2013-წლამდე

5.2. ხელშეკრულება წყდება:

სახელშეკრულებო ვადის დამთავრების;

სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაუქმებულად ცნობის დროს.

## 6. ფორს-მაჟორი:

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან დარღვევად.

## 7. დავების გადაწყვეტის წესი:

7.1. ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ,არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებითმოაგვარებენ ნებისმიერ უთანხმოებასა და დავას, რომელიც მათ შორის შესაძლებელია წარმოიშვას ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ:

7.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 8. დამატებითი პირობები:

8. 1. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

8.2. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოსთვის მიმართვის ან ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე, მისი მიღების საფუძვლისა ამოქმედების თარიღის მითითებით.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

## 9. მხარეთა რეკვიზიტები:

9.1. შემსყიდველი:
ა.ა.ი.პ. გურჯაანის მუნიციპალური კ/ცენტრი
ს\კ 227767841
ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი
**LBRTGE22**
ანგ№**CE81LBO115122362241000**
მის: თამარ მეფის№16
კ/ცენტრის დირექტორი: ი. დათუაშვილი

9.2. გამყიდველი: ი/მ "ბადრი ბერიკაშვილი"
ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი
ს/კ 13001002874
ანგ№**115441100**
ი/მ "ბადრი ბერიკაშვილი"